საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური ნაგაზი

კავკასიური ნაგაზი(ქართული ნაგაზი)

კავკასიური ნაგაზი, მეცხვარისა და სადარაჯო ძაღლის უძველესი ჯიში.

XIX ს. დასაწყისში ზოოლოგმა ვ. მიულერმა საქართველოს მთიანეთში აღწერა ქართველური ტომების მიერ გამოყვანილი ჯიში, რ-საც დასაბამიდან ნაგაზი ეწოდებოდა. მას რუსმა კინოლოგებმა „კავკაზსკაია ოვჩარკა" დაარქვეს; 1990 ეს სახელწოდება საერთაშ. კინოლოგიურ ფედერაციაში (FCI) დამტკიცებული სტანდარტით დამკვიდრდა. ს.-ს. ორბელიანი ,„სიტყვის კონაში" ძაღლს შემდეგნაირად განმარტავს: „ძაღლთა და მხეცთა მამალსა ხ ვ ა დ ი და დედალსა ძუ და შვილთა მათთა ლ ე კ ვ ი ეწოდებიან; ...დიდსა ძაღლსა, მიდამოს მცველსა – თ ა რ თ ი ; ...სწრაფსა და გვარიანსა – მ წ ე ვ ა რ ი ; მწევრისა და თართისაგან შობილსა – ნ ა გ ა ზ ი ...".

ჯიშთა წარმოშობის ვერსიებიდან ერთ-ერთის თანახმად, იგი შეიქმნა ტიბეტური - მასტიფისგან, რ-იც კავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ საქართველოში, აბრეშუმის გზით შემოიყვანეს (ძვ. წ. I ს.). საქართველოში მოშენებული კ. ნ. – ქართული მეცხვარულა – ხალ-ხური სელექციით მიღებული დამოუკიდებელი ჯიშია. ჩამოყალიბდა შიდაჯიშური ტიპები და ქვეტიპები, რ-ებიც გავრცელდა მთელ კავკასიაში. კინოლოგი ა. პ. მაზოვერი აღნიშნავდა: „საუკეთესო კავკასიური ნაგაზები გავრცელებულია საქართველოს რესპუბლიკაში". ძაღლი გამოირჩევა მასიური ძვალეულითა და ზომებით. კონსტიტუციის ტიპი მაგარი კავკასიური კამეჩი. კავკასიური მდინარის ღორჯო. კავკასიური მოცვი. ან უხეშია, თავი – სხეულის პროპორციული; შეფერვა – ნაირგვარი: ნაცრისფერი, თეთრი, მურა, შავი, ჩალისფერი,

ჭრელი და სხვ. ერთ ფერში დასაშვებია შავი ნიღაბი, თეთრი ნიშნები მკერდზე, მუცელზე, თათებსა და კუდის ბოლოზე. აქვს გრძელი ბეწვი ნიდაოში (მინდაო) სიმაღლე (სანტიმეტრობით) ხვადისა არის არანაკლებ 68, ძუსი – 64, სიმაღლე, შესაბამისად, 72–75 და 66–69; ფორმატის ინდექსი ცვალებადობს 104 – 108-მდე. ქართულ კ. ნ-ში განარჩევენ გერგეთულ, ყაზბეგურ და ახალციხურ ტიპებს.

ლიტ.: ა გ ლ ა ძ ე დ., მასალები კავკასიური ჩანიდაების შესახებ, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1931, ტ. 6; ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე პ., ქართული მეცხვარულას წარმოშობის საკითხები, თბ., 1948; М а з о в е р А. П., Племенное дело в служебном собаководстве, М., 1954; Ф о г л Б., Новая энциклопедия. Собаки, М., 2003.

ნ. მამუკელაშვილი